პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 182 (9023)
22 სექტემბერი,
კვირა,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ტურნირის ექო

ხვიჩა ხდრიანი: „კვლავაც ჩემპიონობაზე ვფიქრობ"

ხვიჩა ხდრიანს დიდი ხანია ყურადღებით ადევნებენ თვალს კრივის მოყვარულნი. მის შესახებ საგულდაგულოდ ეძებენ ცნობებს პრესაში; რედაქციაშიც არაერთხელ დაურეკიათ — სურდათ სცოდნოდათ, როგორ ემზადებოდა ხვიჩა მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მათი ცნობისმოყვარეობა არ გვაკვირვებს: დავით კვაჭაძის მერე ხომ იგი საქართველოს პირველი მოკრივეა, ვინც საერთაშორისო სარბიელზე გაითქვა სახელი. ხვიჩა ხდრიანმა შეძლო წარმატებით შემოევლო მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მოეგო ბევრი საერთაშორისო ტურნირი, იუნიორთა შეჯიბრებაში დაუფლებოდა ევროპის ჩემპიონატის ოქროსა და მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედლებს. დღეს სპორტსმენი და მისი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი ჩვენი სტუმრები არიან.



ხვიჩა ხდრიანი (კრივი)

დაიბადა 1967 წლის 6 ოქტომბერს თბილისში.
წონა 54 კგ, სიმაღლე 166 სმ.
სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი.
„შრომითი რეზერვების" წარმომადგენელია.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
1983 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის.
მომდევნო წელს ამავე შეჯიბრებაში მეორე იყო.
1983 წელს ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჭაბუკთა შორის.
1984 წელს II ადგილი დაიკავა „მეგობრობის თასის" გათამაშებაში.
მოგებული აქვს 10 საერთაშორისო ტურნირი.
მსოფლიოს 1985 წლის იუნიორთა ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელია.
ჩატარებული აქვს 116 ბრძოლა. აქედან 109 მისი გამარჯვებით დამთავრდა.

● ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, თუ როგორ ემზადებოდით მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ინფორმაციებს თქვენი გამოსვლის შესახებ სისტემატურად ვაწვდიდით მათ. იქნებ თქვენ ცოტა უფრო ვრცლად გვიამბოთ ამ შეჯიბრების შესახებ?

— რინგზე პირველივე დღეს გამოვედი — შეჯიბრების გახსნის შემდეგ პირველივე წყვილი მე და ირლანდიელი როჯერსი ვიყავით. მეტოქე ჩემზე მაღალი იყო. სხვათა შორის, ჩემს წონაში მე ყველაზე დაბალი ვიყავი. როჯერსი ტექნიკაში მოისუსტებდა. ასეთ მეტოქესთან ბრძოლა ძალიან ძნელია, რადგან იგი უგეგმოდ „მუშაობს" და კაცმა არ იცის, როდის რას იზამს, შეიძლება მთლად „ულოგიკო სვლა" შემოგთავაზოს. და მაინც, მოვახერხე ორჯერ გამეგზავნა ნოკდაუნში. ბრძოლა მეორე რაუნდში შეწყდა.

უნგრელ ბონგართან შეხვედრა უფრო ხანმოკლე გამოდგა. იგი პირველივე რაუნდში აღმოჩნდა ნოკდაუნში.

მესამე მეტოქე ბულგარელი ბლაგოევი გახლდათ. იგი ძალიან მაღალია. პირველ რაუნდში ერთთავად რინგზე დახტოდა და ამიტომ ვერაფერი მოვუხერხე. მაგრამ მეორე რაუნდში შევძელი „დამეჭირა" და იმასაც ორი ნოკდაუნით მოვუგე.

ნახევარფინალში ამერიკელ სტივ იანგს შევხვდი. ფიზიკურად ძალიან ძლიერი, მოძრავი ბიჭია. ათი წელია ვარჯიშობს. იანვარში ამერიკაში გამართულ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, მან შეძლო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ იური ალექსანდროვის დამარცხება. სტივი ამერიკელთა გუნდის ლიდერი იყო და, ბუნებრივია, ოქროს მედალზე ფიქრობდა. ჩემთან შეხვედრამდე მან ორივე ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო. ჩვენი ბრძოლა როგორღა დამთავრდა? შეხვედრის დასასრულამდე ოთხი წამით ადრე ნოკდაუნში გავგზავნე: 5:0 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს შეხვედრა. და აი, ფინალიც მოახლოვდა, მაგრამ მანამდე ერთ შეჯიბრებასაც გავიხსენებ.

რუმინეთის ჩემპიონატის წინ გერმანიაში ვიასპარეზე, საწვრთნელი ტურნირი იყო. ფინალში კუბელ რიკარდო დიასთან დავმარცხდი. ეს ის დიასია, ვის პირისპირაც რუმინეთის ფინალში დავდექი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მოვემზადებოდი რევანშის ასაღებად.

პირველ რაუნდში ახლოს არ მიმიშვა, მაგრამ მეორეში შევბოჭე და თავბრუდამხვევი დარტყმების სერია „დავაყარე". თავი არც ბოლო რაუნდში დამიზოგია, მაგრამ...

● აქ შეგაწყვეტინებთ და ნაწყვეტს მოვიტან, ერთი „თვითმხილველის", „სოვეტსკი სპორტის" სპეციალური კორესპონდენტის რიჟკოვის წერილიდან, რომელიც ამ გაზეთის 10 სექტემბრის ნომერში დაისტამბა: „...ხვიჩა ხდრიანმა კუბელ რიკარდო დიასთან (54 კგ) შეხვედრის მეორე და მესამე რაუნდებში დარტყმების სერიით არაერთხელ გაარღვია მეტოქის დაცვა. გამარჯვება თითქოს უკვე მოპოვებული იყო, მაგრამ დახეთ საოცრებას, ოთხმა მსაჯმა უპირატესობა დიასს მიანიჭა. გამოგიტყდებით, საკუთარ კომპეტენტურობაში ეჭვი შემეპარა და გადავწყვიტე, დასახმარებლად სხვებისთვის მიმემართა — სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ მიმომხილველთა აზრი დიამეტრალურად საწინააღმდეგო აღმოჩნდა — 4:1 ხვიჩას სასარგებლოდ".

— ხვიჩას წაგება მით უფრო საწყენია, რომ მისთვის, როგორც იუნიორისთვის, ეს უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატი იყო, — გვითხრა გარი ხაჩატუროვმა..

● ახლა მოზრდილთა შორის მოიპოვებს ჩემპიონობას...

— ჩვენც ეგ გვინდა. ხვიჩა ყოველი ორთაბრძოლის პერიპეტიებს დღიურში აღნუსხავს, მერე ერთად ვაანალიზებთ შეცდომებს და მათ გამოსწორებას ვცდილობთ.

● თქვენი მოწაფის მკვეთრად გამოხატული თვისება?

— მიზანდასახულობა, თუნდაც ადვილად მოიგოს შეჯიბრება, ხელების ჩამოშვების უფლებას არ აძლევს თავს.

● ხვიჩა, შენ ბევრ ქვეყანაში გიასპარეზია, ბევრი ქვეყნის წარმომადგენლის პირისპირაც მდგარხარ. ვის თვლი ყველაზე ძლიერად?

— საბჭოთა მოკრივეებს, ძალიან ძლიერები არიან ამერიკელები და კუბელები. კუბელები თავდაუზოგავად იბრძვიან, ამერიკელები ტექნიკურობით გამოირჩევიან, მაგრამ ჩვენ და კუბელებს ფიზიკური მომზადებით ჩამოგვრჩებიან.

● კრივის გარდა რა არის თქვენი გატაცების საგანი?

— მიყვარს მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, როცა თბილისში ვარ, მე და ჩემი მწვრთნელი „დინამოს" მატჩებს არ ვაცდენთ.

● დღეს ამით დავამთავროთ. კიდევ როდის გვეწვევით?

— როცა მსოფლიო ჩემპიონი გავხდები.

● პირობა, პირობაა...

დავით ვახტანგაძე.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

კარპოვი — კასპაროვი

მეშვიდე პარტია

გუშინ მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე კარპოვ — კასპაროვის მატჩის მეშვიდე პარტია. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. 31-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 4:3 კარპოვის სასარგებლოდ.

ფიდე-ს გადაწყვეტილებები

გრაცში (ავსტრია) მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები) უკვე დაიწყო მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, რომელიც 27 სექტემბრამდე გასტანს. მსოფლიო ჩემპიონობის 16 პრეტენდენტის ტურნირი დაიწყება 12 ოქტომბერს მონპელიეში (საფრანგეთი) და 3 ნოემბრამდე გაგრძელდება. აქ გამარჯვებული 4 დიდოსტატი შემდეგ მატჩებში გააგრძელებს ბრძოლას. სექტემბერში ლონდონში ჩატარდება დამატებითი მატჩ-ტურნირი დიდოსტატებს ჯონათან სპილმენს (ინგლისი), ჯონ ვან დერ ვილსა (ჰოლანდია) და ვიქტორ გავრიკოვს (საბჭოთა კავშირი) შორის. აქ გამარჯვებული პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის კანდიდატად ჩაითვლება.

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ათი უძლიერესი ნაკრების მონაწილეობით წლეულს პირველად ტარდება. შეჯიბრება გაიმართება ლიუცერნში (შვეიცარია) 15-28 ნოემბერს. აშშ-ის დელეგაციამ დაადასტურა, რომ თანხების უქონლობის გამო ამ ქვეყნის ნაკრები ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამ გუნდის ნაცვლად ტურნირში ჩაებმება საფრანგეთის ნაკრები. იმის გამო, რომ შეიძლება ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღონ აფრიკის წარმომადგენლებმაც, ფიდე-მ პირველი კანდიდატის უფლება იუგოსლავიის ნაკრებს მიანიჭა.

საკვალიფიკაციო კომისიის წარდგენით ფიდე-მ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს. მათ შორის ესენი არიან: ჩერნინი, ვაისერი (ორივე — საბჭოთა კავშირი), მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭაბუკებში კირილ გეორგიევი (ბულგარეთი), მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკები ჰანსენი (დანია), მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი სპრაგეტი (კანადა), პლასკეტი (ინგლისი), გარსია-პალერმო (არგენტინა), ჰიარტარსონი, ჰ. ოლაფსონი (ორივე—ისლანდია), აგდესტაინი (ნორვეგია), ცებალო (იუგოსლავია), დე ფირმიანი (აშშ), როჯერსი (ავსტრალია). ჩამოთვლილთა გარდა ამ რამდენიმე წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად ადრინდელი წარმატებებისთვის დიდოსტატის წოდება მიენიჭა სამ ვეტერან მოჭადრაკეს: შაიტარს (ჩეხოსლოვაკია), მონტიჩელის (იტალია) და გოლომბეკს (ინგლისი).

ქალთა შორის დიდოსტატის წოდება მიენიჭათ ვუ მინგ კვენს (ჩინეთი), ბრუსტმანს (პოლონეთი), ვოისკას (ბულგარეთი) და ვეტერან თეოდორესკუს (რუმინეთი).



სამშაბათს, 24 აგვისტოს, სპორტის სასახლეში დაიწყება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 53-ე საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის ტურში ადგილობრივი „დინამოს" გარდა იასპარეზებენ გასული საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები — ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი", აგრეთვე მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი, მოსკოვის „დინამო" და ტაშკენტის უნივერსიტეტი. ტურნირის ბოლო დღეა 29 სექტემბერი (27 სექტემბერს შეჯიბრების მონაწილენი დაისვენებენ). შეხვედრები დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე. 24 სექტემბერს, 19 საათსა და 45 წუთზე შედგება ტურის საზეიმო გახსნა.

ჟურნალისტთა აკრედიტაცია ჩატარდება 23 სექტემბერს 18 საათზე სპორტის სასახლეში.

სპორტული ბაზების რაოდენობის გაზრდა, მათი ეფექტიანად გამოყენება საერთო საზრუნავია

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც 1985 წლის 20 ივლისს თბილისში გაიმართა, ითქვა: ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში მოსახლეობის მოთხოვნილება საკავშირო ნორმებთან შედარებით, კმაყოფილდება: სპორტული დარბაზების მიხედვით — 41 პროცენტით, აუზებისა — 30 პროცენტით, ფეხბურთის მინდვრების — 88 პროცენტით, ფრენბურთის მოედნებისა — 20 პროცენტით... რესპუბლიკაში ყველა ტიპის დაახლოებით 11 ათასი სპორტული ნაგებობაა. მაგრამ ჩვენი სპორტული ბაზების წლიური დატვირთვა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს.

რესპუბლიკის ახალ სპორტულ მშენებლობებზე

მუშაობა შეუფერხებლად მიმდინარეობს

სპორტის ამა თუ იმ სახეობის წინსვლა-დაწინაურება დიდადაა დამოკიდებული ისეთი სპორტული ბაზების გაშენებაზე, რომლებიც მთლიანად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. ერთი ასეთი კომპლექსი შენდება თბილისში. ეს სპორტული ბაზა ახლო მომავალში ნორჩ კალათბურთელთა აღზრდა-დაოსტატების საიმედო კერად იქცევა.

აგვისტოს შუა რიცხვებში ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვუამბეთ დიდებული სპორტული კომპლექსის —განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო სკოლის მშენებლობაზე. ვწერდით იმასაც, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში მშენებლებს ეხმარებოდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები. მაგრამ შრომითი სემესტრი კარგა ხანია დამთავრდა, უმაღლესი თუ საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტები თავიანთ მაგიდებს მიუსხდნენ, დიდუბეში კი, მძლეოსნური მანეჟის მახლობლად, მშენებლებთან ერთად კვლავ შრომობენ ახალგაზრდები, ამჯერად — თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის წარგზავნილნი.



მკითხველს უთუოდ გაუკვირდება — თუ სწავლა დაწყებულია, ტექნიკუმის ახალგაზრდები მშენებლობაზე მუშაობას როგორღა ახერხებენო. ეს მართლაც ძნელი და ალბათ წარმოუდგენელიც კი იქნებოდა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს აქტიური მხარდაჭერა რომ არა. სასიამოვნოა, რომ ამ ინიციატივას თვით ტექნიკუმის ხელმძღვანელობაც დიდი ინტერესით შეხვდა (დირექტორი ვლადიმერ კინკაძე). შემუშავდა განრიგი, რომლის მიხედვითაც ბრიგადებად დაყოფილ სტუდენტებს კვირის ერთ-ერთ დღეს მეცადინეობიდან ათავისუფლებენ და მშენებლობაზე გზავნიან. იქ ისინი მთელ დღეს ატარებენ და, როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, დაუზარებლად აკეთებენ ყველაფერს, რასაც საქმეთა მწარმოებლები თუ ოსტატი დაავალებენ. მშენებლობაზე შექმნილია შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სტუდენტთა მუშაობას. შტაბს სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ყანჩაველი. როგორც მისმა მოადგილემ, ტექნიკუმის ჭიდაობის მასწავლებელმა ბესიკ მანთიძემ გვითხრა, მშენებლობაზე სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტების მხარდამხარ მათი პედაგოგებიც მუშაობენ. მაგალითად, ტექნიკუმის უფროს მეთოდისტს ნოდარ ზერეკიძეს ხშირად ნახავთ აქ. კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის ოთხდარბაზიანი კომპლექსის მშენებლობაში ძირითადად ბიჭები მონაწილეობენ, მაგრამ არც გოგონები არიან უსაქმოდ. დიანა ჩეპელევა და ინა კასატკინა უშვებენ ყოველდღიურ კედლის გაზეთს, რომელშიც თავიანთ მკითხველებს დღის საინტერესო ამბებს აცნობენ, უამბობენ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც კარგი მუშაობით გამოიჩენენ თავს და იმათაც ასახელებენ, თუ ვინმე იზარმაცებს და საქმეს უგულისყუროდ მოეკიდება.

თბილისში, პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო საცურაო აუზზე, ახალი სასწავლო წლიდან ბევრი მოზარდი სწავლობს ცურვას. აქ ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცურვის გაკვეთილები, თავისუფალ დროს კი მუშაობენ გამაჯანსაღებელი ჯგუფები. საცურაო კომპლექსი (დირექტორი ოთარ ურუშაძე) კარგად მომზადებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

ალო! შტაბი გისმენთ...
93-97-55, 99-56-14



მიზეზები არ ელევათ...

როგორც იცით, ჩვენმა გაზეთმა ამ დღეებში გამოაცხადა რესპუბლიკის სპორტული ბაზების ზამთრის სეზონისთვის მომზადების ორთვიური (იხ. „ლელო" № 180, 19 სექტემბერი). ვწერდით იმასაც, რომ რედაქციაში შეიქმნა საგანგებო შტაბი და თუკი ვინმეს ჩვენი დახმარება დასჭირდება ზოგიერთი საკითხის მოგვარებაში, მზად ვართ ვემსახუროთ. და აი, გუშინ შტაბში პირველი ზარის ხმა გაისმა.

ვერ წარმოიდგენთ ჩვენს გაოცებას, როცა შევიტყვეთ, რომ საქმე თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსს ეხებოდა. ეს სპორტული ბაზა მოხსენებულ წერილში ჩვენ სანიმუშოდ და სამაგალითოდ გვქონდა დასახელებული. აქვე დავძენთ, რომ არ შევმცდარვართ, მაგრამ იმ ხალხს, ვინც იქ სისტემატურად დადის სავარჯიშოდ, ცხადია, სურს რომ კომპლექსი მართლაც უნაკლოდ, ყოველმხრივ გამართულად მუშაობდეს. რედაქციაშიც სწორედ მათ დარეკეს. ჩვენ უმალვე მივაკითხეთ სპორტულ ბაზას და საკუთარი თვალით ვნახეთ ის, რაც გულს სტკენს აქ მოვარჯიშეებს. ზამთარი ახლოვდება, გასახდელები კი შეუმინავია, საქმე უბრალო შემინვას არ ეხება — ჩასატარებელია სპეციალური სამუშაოები, მოსაწესრიგებელია ვენტილაცია. ასეთივე სამუშაოები უნდა ჩატარდეს აღდგენითი ცენტრისა და ორთქლის აბანოს შეუფერხებელი მუშაობისთვის. რაც მთავარია, მოსაგვარებელია ბრტყელი გადახურვის იზოლაციის საქმე. ამ საკითხების მოგვარება დავალებული აქვს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტის (უფროსი ანზორ პირველი) საბურთალოს რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ზაურ ინასარიძე). სამუშაოები წესით ჯერ კიდევ გასული წლის 1 ოქტომბრისთვის უნდა დამთავრებულიყო. მიზეზი რომ ვიკითხეთ, გვითხრეს, სპეციალური სამშენებლო მასალების რუსეთიდან ჩამოტანა გაჭიანურდაო. სამწუხაროდ, ახლა, როცა ყველა მასალა ადგილზეა მიტანილი, სამუშაო ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, თუ ასე გაგრძელდა, ზამთარიც კარს მოგვადგება და მერე ამინდის ჭირვეულობა გახდება სამუშაოთა შეფერხების მიზეზი. —



ლახტის წრეში

გადაწყვეტილების მოლოდინში

ამ საცურაო აუზს კარგად იცნობს ყველა თბილისელი. ბაზა მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა გაშენებული, ორთაჭალესთან, და მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, რითაც განსაკუთრებით გამორჩეული და მიმზიდველია. მაგრამ საირმის ქუჩის საცურაო აუზისა არ იყოს, არც ამ სპორტულ ბაზას ეღირსა მოწესრიგება. არ გვახსოვს, აუზს ზედიზედ რამდენიმე წელიწადს მაინც შეუფერხებლად ემუშაოს. თუმცა, რა დასამალია, ეს აუზიც რამდენჯერმე გადაკეთ-გადმოკეთდა, სახე იცვალა, რისთვისაც სახსრებიც ბლომად დაიხარჯა.

თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის წყალთა სახეობების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაზე, რომელიც სწორედ ამ სპორტულ ბაზასთან გაიხსნა. მაგრამ წლები ისე გავიდა, ჩვენი სპორტისთვის ხელშესახები სარგებლობა არ მოუტანია. არ მოუტანია იმიტომ, რომ საცურაო აუზიცა და სახტომიც წარამარა გამოდიოდა მწყობრიდან.

1984 წლის 8 იანვრიდან „ლოკომოტივის" საცურაო აუზის სამივე აბაზანა ერთბაშად დაცალეს. დაიწყო მორიგი კაპიტალური რემონტი. თუმცა, სათქმელი აუცილებლად უნდა დავაკონკრეტოთ: სიტყვა „დაიწყო" ერთობ პირობითად გვაქვს ნახმარი. ამიერკავკასიის რკინიგზის ნგჩ-5 (უფროსი გურამ გაბუნია) მეტად ნელი ტემპით შეუდგა საიზოლაციო სამუშაოთა შესრულებას. გავიდა წელიწადნახევარი და ეს ისედაც გაჭიანურებული მუშაობა საერთოდ შეწყდა. მიზეზი? როგორც გამოირკვა, თავიდანვე ხარჯთაღრიცხვაც არ ყოფილა დამტკიცებული. არ ვდაობთ, იქნებ თავის მხრივ მართალნიც არიან მშენებლები, მაგრამ ხომ გვაქვს უფლება ვიკითხოთ, რატომ მოხდა ასე, რატომ დროზე არ გაირკვა გასარკვევი, რა დააშავეს ცურვის მოყვარულმა მოზარდებმა, მოსახლეობამ; პირველი რიგის სამუშაოები ჩატარდა გათბობის სისტემის მოსაწესრიგებლადაც, მაგრამ თანხა თურმე არც ამ სამუშაოებისთვის ყოფილა გათვალისწინებული, არც ფილტრების შესაძენად გამოუყვიათ სახსრები. აუზი კი კომპეტენტურ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილების მოლოდინში კარგამოკეტილია.

ვფიქრობთ, ლოდინი დიდხანს აღარ გაგრძელდება. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს.

„ლელოს" ბრიგადა.



მეორედ დაბადება

შემდეგი ქუბერი იყო. ქუბერში უნდა დაედგათ ძეგლი რომელიმე ქართველი ვაჟკაცისთვის, ქუბერში უნდა ეზეიმათ ხელმეორედ მისი დაბადება. ასე არ დაიბადნენ მეორედ: მულახში—ილია გაბლიანი, დაბა მესტიაში — მიხეილ ხერგიანი, ლატალში — გურამ თიკანაძე, იფარში — მირზა გელოვანი?! რა დალევს ლეგენდადქცეულ ადამიანთა, ახალგაზრდებისთვის მისაბაძ გმირთა სახელებს საქართველოში. სწორედ ამ გმირთაგან ერთ-ერთის, ლეგენდადქცეულთაგან ერთ-ერთის სახელი თუ დაამშვენებდა ქუბერის ახალგაზრდულ კომპლექსს. ბორის კახიანიც ასე ფიქრობდა. ოთხი დიდებული ქართველი ვაჟკაცი გააცოცხლა და მეხუთეს ხელახლა დაბადებაზე ფიქრობდა. არ დასცალდა. ეს საქმე მისი გაზრდილი ახალგაზრდების გასაკეთებელი შეიქნა. ერთი კია, ერთადერთი შემთხვევაა, როცა ბორისისა და მისი თანამოსაქმეთა აზრი აქ არ დაემთხვეოდა ერთმანეთს, რადგან ახალგაზრდებმა, გურგენ გურჩიანის — კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველი მდივნის თავკაცობით ქუბერის კულტურულ-სპორტულ კომპლექსს თავიანთი მასწავლებლის, წლების მანძილზე მესტიის ახალგაზრდობის ლიდერის, შესანიშნავი ვაჟკაცისა და სპორტსმენის ბორის კახიანის სახელი დაარქვეს.

...წვიმდა იმ დღეს დასავლეთ საქართველოში, რიკოთის უღელტეხილს იქით ცა არ მოწმენდილა მთელი დღის მანძილზე. გზები ატალახებულიყო ქუბერშიც. ამიტომ იყო, ზეიმი შენობაში რომ გადაიტანეს.

სიტყვა თუ ცრემლნარევი მოგონება, სიმღერა თუ ცეკვა ოთხი საათის მანძილზე ბორის კახიანზე გვესაუბრებოდა, მას გვაგონებდა. კედლიდანაც ბორისი გვიმზერდა — მისი განუმეორებელი ღიმილი და სევდანარევი მზერა არ გვშორდებოდა. თითქოს ყველა — სტუმარი თუ მასპინძელი შენობაში მეგულებოდა, მაგრამ გარეთ გამოსულს უცნაური სურათი გადამეშალა თვალწინ — ცხენოსნებს დოლი გაეჩაღებინათ — ალბათ ასე უნდოდათ ეთქვათ: წვიმამ როგორ უნდა შეგვაშინოსო, ბორის კახიანის დაბადების დღე სპორტული შეჯიბრების გარეშე ვინ გაიგონაო.

...ბორის კახიანი მოთხილამურე იყო, სპორტის ოსტატი. საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაზე ჭაბუკთა გიგანტურ სლალომში ვერცხლის მედალს დაეუფლა, ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში კი ყველას აჯობა. არც პროფკავშირთა საკავშირო შეჯიბრებაში რგებია ნაკლები წარმატება — მოზრდილთა შეჯიბრებაში III ადგილს დაეუფლა. ის იყო იწყებდა ზემოთ სვლას, თითქოს არც ისე დიდი მანძილი რჩებოდა მაღალ მწვერვალებამდე, მაგრამ ტრავმებმა შეუშალა ხელი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის კურსდამთავრებული მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და რამდენიმე წლის შემდეგ უკვე კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველ მდივნად დანიშნეს. სწორედ აქედან, 1973 წლიდან ჩაეყარა საფუძველი იმ დიდებულ საქმიანობას, ბორის კახიანის მეთაურობით რომ შეუდგნენ მესტიის რაიონის ახალგაზრდები.

გადაწყდა მესტიის რაიონში სატელევიზიო ანძა დადგმულიყო, მაგრამ სამისოდ ჯერ გზის გაყვანა იყო საჭირო. ჰოდა, დაიკაპიწეს ხელები ახალგაზრდებმა. ბორისის თავდადებით აღფრთოვანებულმა ბიჭებმა თოვლსა და წვიმაში, ყინვაში, ქარში, სიცხეში თხუთმეტი კილომეტრი სიგრძის სამანქანო გზა გაიყვანეს სოფელ იფრალიდან ხალდემდე. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჩხუტუნეთის მთაზე 3200 მეტრის სიმაღლეზე სატელევიზიო ანძის აღმართვა... მესტიის რაიონშიც აკიაფდა ტელეეკრანი.

და აი, ამ პირველი დიდი გამარჯვებით ფრთაშესხმული მესტიელი ახალგაზრდობა და მათი მოუსვენარი მეთაური სხვა სასარგებლო საქმეების კეთებაზე ფიქრობს. ბორისის აზრით, ახალგაზრდების მარჯვენით შექმნილსა და გაკეთებულს უნდა დაემშვენებინა მისი კუთხე, მათ შრომას უნდა გაელამაზებინა, დოვლათი და ბარაქით უნდა აევსო ეს ულამაზესი მხარე, რათა სვან ახალგაზრდებს თავიანთი თავი სვანეთშივე ეპოვათ, სულიერი საზრდოსთვის „აღზევანს წასვლა" არ დასჭირვებოდათ. თუმცა, არც თავიანთ კუთხეში ჩაკეტილან. გამრჯე მარჯვენა აქეთაც გამოგვაშველეს. და აი, ბორისს, მულახელ ახალგაზრდებთან ერთად, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობის აღდგენით სამუშაოებზე ვხედავთ.

მერე იყო მულახი — ილია გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსი და მიხეილ ხერგიანის სახელობის კლუბი „ბეთქილი" დაბა მესტიაში, მერე ახალგაზრდული კლუბის მშენებლობას შეუდგნენ ეცერში, გურამ თიკანაძის სახელობის ახალგაზრდული კლუბის შენობა რომ დაამთავრეს ლატალში, სვანური კოშკი „ჩადგეს" კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში. ამას მოყვა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდული კლუბი იფარში, თბილისობის დღესასწაულისთვის რიყეზე აგებული სვანური კოშკი... რა იოლია ჩამოსათვლელად?! რამდენი უძილო ღამე — საჭირო მასალაზე, მანქანაზე, იარაღზე ფიქრში დათენებია თავს... და ყველა ეს სამუშაო ბორის კახიანმა და მისმა ბიჭებმა უსასყიდლოდ, ყოველგვარი წუწუნისა და ბუზღუნის გარეშე შეასრულეს. მათი შემაკავშირებელი დუღაბი გახლდათ ნდობა — ერთმანეთის ნდობა და რწმენა. ჯერ თავიანთი ხელმძღვანელისა სწამდათ სვან ბიჭებს, მერე ერთმანეთისაც. მოსწონდათ მისი ცხოვრების წესი — მისი მაღალი მოქალაქეობრივი წესის, მისი ადამიანური მოვალეობის მძაფრი შეგრძნების უნარი, მოყვასისადმი მიმართული კეთილი მზერა, მუხლჩაუხრელი შრომის სურვილი.

ამიტომ იყო, როცა ბორისი ჯერ პარტიის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო შემდეგ მესტიის სახალხო დეპუტატთა რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ აირჩიეს, მაინც თავისი კუთხის ახალგაზრდობის ლიდერად რომ დარჩა. დარჩა მანამდე, ვიდრე ის ავბედითი 1982 წლის 4 აგვისტოს დღე არ გათენდა.

...მოზეიმე ხალხს სევდა მორეოდა — ახალგაზრდები თუ ჭარმაგნი სათითაოდ უახლოვდებოდნენ ბორის კახიანის სურათს და გულში ფიცს სდებდნენ, რომ მის საქმეს არ უღალატებდნენ და შვილებსა და შვილიშვილებსაც მის კვალზე ატარებდნენ.

სხვებთან ერთად ეს ფიცი გაიმეორა ქუბერის ბორის კახიანის სახელობის კულტურულ-სპორტული კომპლექსის დირექტორმა ილიკო ოთხვანმა. სახელოვან თანამემამულეს მან აღუთქვა, რომ სპორტსკოლაში მხოლოდ მამულისთვის თავდადებული, სულით და ხორცით ჯანსაღი ახალგაზრდები აღიზრდებიან.

ქუბერელი ახალგაზრდები მულახელ, ლატალელ, იფარელ და სხვა სოფლების თანატოლთ ექადნებოდნენ, რომ იმ საქმის კეთილად დასრულებისათვის, ბორის კახიანმა რომ წამოიწყო — ყველაფერს გააკეთებენ, ტოლს არ დაუდებენ არავის.

...ორი წლის მანძილზე აშენებდნენ ამ მშვენიერ ორდარბაზიან კომპლექსს მესტიელი ახალგაზრდები, რათა თავიანთი დანაპირები შეესრულებინათ, ერთგვარი ძეგლი დაედგათ თავიანთი ლიდერისთვის, ბორის კახიანისთვის.

იმ დღეს მთელი სვანეთი ერთი კაი ყმის — ბორის კახიანის მეორედ დაბადებას ზეიმობდა.

დავით ჭელიძე.
(„ლელოს" სპეც. კორესპონდენტი).
მესტია.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი, უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი, მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1.	„დინამო" (კიევი)	26	16	7	3	49-16	39	(—13)
2.	„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	27	14	8	5	54-25	36	(—18)
3.	„სპარტაკი" (მოსკოვი)	26	13	9	4	48-17	35	(—17)
4.	„დინამო" (მინსკი)	26	12	8	6	30-19	32	(—20)
5.	„ტორპედო" (მოსკოვი)	25	12	7	6	31-24	31	(—19)
6.	„ქაირატი" (ალმა-ათა)	25	9	9	7	26-27	27	(—23)
7.	„დინამო" (თბილისი)	26	9	7	10	25-29	25	(—27)
8.	„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	25	8	8	9	30-33	24	(—26)
9.	„არარატი" (ერევანი)	25	7	10	8	27-28	24	(—26)
10.	„მეტალისტი" (ხარკოვი)	24	9	5	10	27-35	23	(—25)
11.	„ჩერნომორეცი" (ოდესა)	26	9	4	13	32-46	22	(—30)
12.	„ზენიტი" (ლენინგრადი)	26	8	6	12	29-29	22	(—30)
13.	„შახტიორი" (დონეცკი)	25	7	8	10	34-36	22	(—28)
14.	„ფაკელი" (ვორონეჟი)	26	7	7	12	17-36	21	(—31)
15.	ასკ (როსტოვი)	25	7	5	13	28-37	19	(—31)
16.	„დინამო" (მოსკოვი)	25	7	5	13	27-43	19	(—31)
17.	„ტორპედო" (ქუთაისი)	25	5	9	11	22-36	19	(—31)
18.	„ნეფთჩი" (ბაქო)	25	6	6	13	18-33	18	(—32)

I ლიგა

20 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, მე-12 ტურის მატჩები.

„ა" ჯგუფი (I-XII ადგილები)

ბათუმის დინამოელები ხაბაროვსკში შეხვდნენ ადგილობრივ არმიელთა გუნდს და მარცხი განიცადა ანგარიშით 1:2.

სხვა მატჩები: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (სტავროპოლი) 3:0, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „პამირი" (დუშანბე) 2:1, „კოტაიკი" (აბოვიანი) — ცსკა 2:0, „დაუგავა" (რიგა) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 4:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 3:0.

„ბ" ჯგუფი (XIII-XXII ადგილები

ლანჩხუთის „გურიამ" თავისი მორიგი მატჩი სტუმრად ჩაატარა კიშინიოვის „ნისტრუსთან". თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

სხვა მატჩები: „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:2, „ისკრა" (სმოლენსკი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:1.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის

„ა" ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა"	30	16	10	4	49-20	42
„პამირი"	30	14	8	8	40-26	36
„ლოკომ."	30	14	8	8	38-33	36
ცსკა	28	13	10	5	52-28	36
ასკ „კარ."	29	13	8	8	37-29	34
„კოლოსი"	31	14	5	12	37-40	33
„როტორი"	30	12	9	9	46-38	33
„შინიკი"	30	11	11	8	37-36	33
ასკ ხ.	29	13	6	10	47-46	32
„კოტაიკი"	31	14	3	14	44-43	31
„დინამო" ბ.	30	11	6	13	41-44	28
„დინ." სტ.	30	10	4	16	23-37	24

„ბ" ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია"	31	14	5	12	44-39	33
„მეტალურ."	31	13	6	12	39-45	32
„ფახთაქ."	30	10	13	7	40-33	32
„კუზბასი"	31	13	4	14	48-47	30
„სპარტაკი"	31	11	4	16	35-45	26
„ყუბანი"	31	10	6	15	42-44	26
„ნისტრუ"	31	9	7	15	31-45	25
„კრ. სოვ."	31	6	12	13	24-36	24
„ისკრა"	31	6	8	17	24-40	20
„ზვეზდა"	30	6	7	17	32-56	19

ევროპის საკლუბო ტურნირები

თასების მფლობელთა თასი

გუშინ, 21 სექტემბერს რეიკიავიკში გაიმართა თასების მფლობელთა თასის ბოლო მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა. ადგილობრივმა „ფრამმა" ანგარიშით 3:1 დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანი"

უეფა-ს თასი

19 სექტემბერს გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალური ეტაპის კიდევ ერთი მატჩი. პორტუგალიის ქალაქ პორტუს „ბოავისტამ" უმასპინძლა ბელგიის „ბრიუგეს". შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა.

გაიმარჯვა „ბოავისტამ" — 4:3.

მოკლედ

ქართული ჭიდაობის ზეიმი ცხინვალში

„კოლმეურნეს" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ ჩაატარა ქართული ჭიდაობის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება საქართველოს ორგზის ჩემპიონის (ქართულ ჭიდაობაში) ვახტანგ ქრისტესიაშვილის პრიზზე. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ გორის, ქარელის, კასპის, მცხეთის, ონის, ლაგოდეხისა და ცხინვალის რაიონების წარმომადგენლები.

ამავე დღეს შეჯიბრებები ჩატარდა ლენინგორის და ზნაურის რაიონულ ცენტრებში, ცხინვალის რაიონის სოფლებში — კეხვში, აჩაბეთში, ქურთაში, ერედვში, ზნაურის სოფელ ავნევში... შეჯიბრებაში გამარჯვებული ფალავნები „კოლმეურნეს" საოლქო საბჭოს სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვდნენ.

ლეილა სუბელიანი.
(„ლელოს" კორ.).
ცხინვალი.

სპორტის უჩინარი მსახური

თაობების სიყვარულით შემკული

ქალბატონ ვენერა საკანდელიძეს კარგა ხანია ვიცნობ. სიმართლე გითხრათ, გამეხარდა მასზე წერილის დაწერა რომ დამავალეს.

სამსახურში მივაკითხე, მაგრამ კოლეგებმა მითხრეს: აბა, აქ რას იპოვი, ან იპოდრომზე იქნება, ან „დინამოზე", ან ლისის ტბაზეო. ერთი სიტყვით, ტელეფონით ძლივს მივაკვლიე მის ადგილსამყოფელს.

დილით „დინამოს" სტადიონზე, ჩვეულებრივ, თეთრ ხალათში გამოწყობილი დამიხვდა. ხუთჭიდელები ვარჯიშობდნენ და უმეთვალყურეოდ ხომ არ დატოვებდა. ქალბატონ ვენერასთან ბლოკნოტითა და ხელში ავტოკალამმომარჯვებული რომ დამინახეს, მწვრთნელები მიმიხვდნენ მოსვლის მიზეზს და ერთობ გაიხარეს — თუ დაიწერება, აი, ვისზე უნდა დაწეროთ და ვინ უნდა შეაქოთო.

ასე როგორ შეაყვარეთ თავი ამ ხუთჭიდელებს-მეთქი, ვკითხე ქალბატონ ვენერას.

—31 წელია მათ ვემსახურები, ხუთჭიდელთა თითქმის ყველა თაობამ ჩემს ხელში გაიარა და როგორ არ გვეყვარება ერთმანეთი. აი, ეს ბავშვებიც, ძალიან მოწესრიგებული, ულალატონი არიან. რა ვიცი, ძალიან გაბრაზებულიც რომ ვიყო, მაგათ რომ დავინახავ, გული მინათდება. ალბათ, ამიტომაც შევრჩი ამდენხანს აქაურობას.

ქალბატონი ვენერა მარტო ხუთჭიდელებს როდი ემსახურება. საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკურ დისპანსერში 1952 წელს დაიწყო მუშაობა, 1968 წლამდე ჩოგბურთელებთანაც მუშაობდა, 72-მდე ცხენოსნებიც ებარა, ერთი ხანობა მოსწავლე კალათბურთელებს, ჩოგბურთელებს და ფიგურული სრიალის ოსტატებსაც დასტრიალებდა თავს. ქაღალდზე კი გადაუტანია მთელი წვრთნის გრაფიკი, მაგრამ რად უნდა, ზეპირადაც იცის, ვის როდის რა სჭირდება.

● **ნახევარი ცხოვრება სპორტთან დაგიკავშირებიათ. ტკბილად თუ უსიამო მოსაგონარიც ალბათ ბევრი რამ გექნებათ. რას გაიხსენებდით?**

— 1979 წელს ჩვენმა ხუთჭიდელებმა IV ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, მეგონა ჩემი წვლილიც იყო ამ წარმატებაში. გამახარა იგორ ბრიზგალოვისა და ვახტანგ იაგორაშვილის დიდმა წარმატებებმა. მაგრამ აი, ძალიან მიმძიმს რაიმე დიდი შეჯიბრების წინა პერიოდის გადატანა, და იცით, რატომ? გუნდში მოსახვედრად ხომ ორჯერ და ხშირად სამჯერ მეტი სპორტსმენი ემზადება, ვიდრე საჭიროა. ბოლოს, საბოლოო შემადგენლობის დადგენისას გუნდს მიღმა დარჩენილებს რომ ვუყურებ, გული მიკვდება...

აი, ამ თანაგრძნობამ და სიყვარულმა შეაძლებინა ქალბატონ ვენერას 31 წელი ემუშავა სპორტსმენებთან, მათი სიხარული და გულისტკივილი გაეზიარებინა, შეთვისებოდა და შესისხლხორცებოდა სპორტულ კოლექტივებს. საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის ბავშვთა განყოფილების საექიმო კონტროლის ექიმი, შრომის ვეტერანი, სანდომიანი ქართველი მანდილოსანი ვენერა საკანდელიძე კვლავ და კვლავ იმკის თავის ხელში გამოვლილი თაობების სიყვარულს.

ჟოლა დავითაძე.



გუშინ თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის საფარიკაო დარბაზში დაიწყო „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და საქართველოს ნორჩი სპორტსმენები. შეჯიბრების მონაწილეები ორ ასაკობრივ ჯგუფად (1966-68 და 1969-71 წლებში დაბადებულნი) გამოდიან. პირველობა 29 სექტემბრამდე გასტანს.

„მერანი" № 18

გამოვიდა „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" მე-18 ნომერი. დამატების ეს ნომერიც კარპოვ—კასპაროვის მატჩისადმი მიძღვნილი მასალით იხსნება. აქვე მოყვანილია მატჩის II-V პარტიები.

წერილში „წარმოსახვათა ფანტასტიკურ სამეფოში", რომელიც ქვეყნდება რუბრიკით — „ეს საინტერესოა", მკითხველი გაეცნობა ჭადრაკის ე. წ. ბრმად თამაშის მიმდევრებს.

რუბრიკით — „ჭადრაკს გამიჯნურებულნი" მწერალი მინდია მოსაშვილი იხსენებს ორი გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ლეო ქიაჩელისა და ილო მოსაშვილის საჭადრაკო პაექრობის ერთ ეპიზოდს.

იან ტიმანი. ბევრ ჭადრაკის მოყვარულს სურს ამ გამოჩენილ დიდოსტატთან შეხვედრა. რედაქციამ გაითვალისწინა და რუბრიკით — „ჭადრაკის სამყაროს ვარსკვლავები" მკითხველს შესთავაზა დიდოსტატის ნაამბობი თავის თავზე.

ინდოელმა დებმა კადილკარებმა „სპორტ ვ სსსრ-ის" რედაქციას გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მადლობას უხდიდნენ დიდოსტატ ედუარდ გუფელდს, რომელმაც ინდოეთში მუშაობისას დიდი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნის მოჭადრაკეების დაოსტატებაში. ამ წერილსა და ედუარდ გუფელდის კომენტარს წაიკითხავთ ჩვენი გაზეთის მე-5 გვერდზე.

საჭადრაკო ამოცანების მოყვარულნი გაეცნობიან საჭადრაკო კომპოზიტორის შერგილ სუხიტაშვილის საინტერესო მასალას „საჭადრაკო კომპოზიცია და მათემატიკა".

რუბრიკით — „ის, რაც ერს ამშვენებს" გამოქვეყნებულია პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის საუბარი „მერანის" კორესპონდენტთან.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია.

22 სექტემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.30** (2); „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20** (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი საშვეულმფრენო სპორტში—**10.30** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **14.45** (2); საერთაშორისო შეჯიბრება ავტოკროსში — 19.45 (2); სსრ კავშირის, აშშ-ს და იაპონიის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა — **22.35** (1); საფეხბურთო მიმოხილვა — **23.55** (1).

23 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში— **9.00** (2); საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35** (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **19.45** (2) და **20.30** (1); რიტმული ტანვარჯიში — **20.20 (2).**

საქართველოს ტელევიზია.

22 სექტემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ნეფთჩი" (ბაქო) — „ტორპედო" (ქუთაისი) — **19.00;** სპორტული გადაცემა — **22.35;** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.55.**

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სპორტულ კომპლექს „ბურევესტნიკთან" არსებული ათლეტური ტანვარჯიშის მოყვარულთა კლუბი აცხადებს:

ახალგაზრდა, საშუალო და უფროსი ასაკის მამაკაცების მიღებას სპორტულ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში სამედიცინო შემოწმებისა და ექიმის ნებართვის საფუძველზე.

მეცადინეობები ჩატარდება კვირაში სამჯერ დღეგამოშვებით (თითოეული ჯგუფისთვის) 16-დან 19 საათამდე და 19-დან 22 საათამდე მწვრთნელისა და ექიმის მეთვალყურეობით. ვარჯიშის მსურველები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს № 1 ფიზკულტურულ დისპანსერში.

მოვარჯიშეებს დაეთმობათ სპეციალური ინვენტარით აღჭურვილი დარბაზი, ხელბურთისა და ფრენბურთის დარბაზი და საცურაო აუზი, მომავალში იმუშავებს აგრეთვე ფინური აბანო.

კლუბი სამეურნეო ანგარიშზეა. კლუბის თითოეული წევრი თვეში იხდის 9 მანეთს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიაკითხეთ სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის" დირექციას, კანცელარიასა და რეგისტრატურას დილის 9-დან 18 საათამდე.

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 6. ტელეფონი: 31-40-02.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის" დირექცია.

ტრამპლინმა გამოცდა ჩააბარა

ბაკურიანში დამთავრდა ორჭიდელთა მესამე საზაფხულო საკავშირო შეჯიბრება. როგორც ვიუწყებოდით, 70-მეტრიან ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე ხტომაში დაწინაურდა სვერდლოვსკის პირველი ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები სერგეი შორიკოვი, ლეონიდ გლაზირინი და სერგეი ბონდარი.

სვერდლოვსკელებმა იმარჯვეს ამანათრბენშიც (3X4 კილომეტრზე) და საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს — 1236,3 ქულა. მეორე ადგილზეა ბელორუსიის პირველი ნაკრები (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალექსანდრე პეკტუბაევი, სპორტის ოსტატი ვლადიმერ ალალიკინი, ოსტატობის კანდიდატი სერგეი დევიჩენკო) — 1185,4 ქულა, მესამეზე — გორკის გუნდი (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალექსანდრე მაიოროვი, სპორტის ოსტატი ანდრეი სიმონოვი, ოსტატობის კანდიდატი ვიქტორ კოსტინი) — 1160,3 ქულა.

სამწუხაროდ, საქართველოს გუნდი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა. საქმე ის არის, რომ ჩვენს ორჭიდელთა ნაკრებს დღეს 10-12 წლის სპორტსმენები შეადგენენ და, ცხადია, ისინი მოზრდილთა შეჯიბრებაში არ დაიშვებიან.

ასპარეზობის დასასრულს ახალი ტრამპლინის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ სპეციალისტს, ჩვენი სახელოვანი მფრინავი მოთხილამურის კობა წაქაძის მწვრთნელს პაველ დემენტიევს:

— სასიხარულოა, რომ გაიზარდა საზაფხულო ტრამპლინების რიცხვი, კერძოდ, ზამთრის სპორტის ამ შესანიშნავ ცენტრში, სადაც საშუალება გვექნება წელიწადის ყოველ დროს ვივარჯიშოთ. შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, ტრამპლინიც შესანიშნავად მოუმზადებიათ. ასე რომ, ბაკურიანის ახალმა საზაფხულო ტრამპლინმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მაგრამ მშენებლებს ნუ ეგონებათ, რომ საქმე უკვე დამთავრებულია. გამოსაყვანია მაღალი ძაბვის ელექტროდენი, სარწყავი წყალი და ა. შ. ასე რომ, 70-მეტრიანი ტრამპლინი ისევ ელის მშენებლებს. მინდა ვიფიქრო ისიც, რომ დამპროექტებლები და მშენებლები ბოლოსდაბოლოს ბაკურიანის დიდ, 90-მეტრიან ტრამპლინსაც მიხედავენ.

სოფიკო ხეთაგაშვილი.

(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).

ბაკურიანი.

მკითხველი — გაზეთი

ამ წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა რედაქციაში შემოსულმა მრავალმა შეკითხვამ. გულშემატკივრებს აინტერესებთ თუ რას წარმოადგენს თასი, რომელიც ზაფხულობით თამაშდება ევროპის კონტინენტზე. დაინტერესებულ პირთა ცნობისმოყვარეობას ეს წერილი გარკვეულწილად დააკმაყოფილებს.

თასი, რომელიც პრაპის გადაეცემა

როდესაც ზაფხულს ევროპული ფეხბურთის „მკვდარ სეზონს" უწოდებენ, პირველ ყოვლისა, კონტინენტის ქვეყნების უმეტესობაში სეზონს შორის შესვენებას გულისხმობენ, თორემ საფეხბურთო ცხოვრებამ არდადეგები არ იცის.

ზაფხულის თვეებში ტემპერატურა უმაღლეს წერტილს აღწევს არა მარტო სტადიონებზე, არამედ პროფესიული ფეხბურთის კულისებშიც, სადაც დაუოკებელი მენეჯერები ჟონგლიორის სიმარჯვით ატრიალებენ ასტრონომიულ თანხებს ახალი ვარსკვლავების მოსაკრეფად. სწორედ ზაფხულში იმართება უამრავი საწვრთნელი ამხანაგური მატჩი, ტარდება მრავალი პოპულარული შეჯიბრება, დაწყებული ორდღიანი ბლიცტურნირებიდან ოთხი გუნდის მონაწილეობით და დამთავრებული „საერთაშორისო საფეხბურთო თასის" გათამაშებით, რომელიც მონაწილეთა რაოდენობით მხოლოდ უ.ე.ფა-ს თასის ტურნირს ჩამოუვარდება.

„საერთაშორისო საფეხბურთო თასის" ან, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „საზაფხულო თასის" გათამაშება 1961 წლიდან ტარდება. პრიზს თავდაპირველად ეწოდა „რაპანის თასი" მისი დამაარსებლის, ცნობილი ავსტრიელი სპეციალისტის კარლ რაპანის პატივსაცემად.

კარლ რაპანი, რომელიც 1905 წლის 26 სექტემბერს დაიბადა, ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. მას თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ფეხბურთის განვითარებაში.

ვენის წამყვან კლუბებში — „ვაკერში", „აუსტრიასა" და „რაპიდში" თამაშის შემდეგ რაპანი შვეიცარიაში გადავიდა და მოთამაშის კარიერა ჟენევის „სერვეტში" დაამთავრა. აქვე დაიწყო მუშაობა მწვრთნელად. საინტერესოა, რომ ორი სეზონის განმავლობაში მოთამაშე-მწვრთნელი იყო. რაპანმა მომდევნო წლებიც შვეიცარიაში გაატარა, სადაც, გარდა „სერვეტისა", წვრთნიდა „გრასჰოპერსს", „ციურიხს", ლოზანის „ლოზან სპორტსა" და შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებს. სწორედ ნაკრებში მუშაობის დროს გამოყენებულმა დაცვითმა სისტემამ — „შვეიცარიულმა ბოქლომმა" გაუთქვა მას სახელი. ეს იყო ახალი სიტყვა საფეხბურთო ტაქტიკაში და შემდგომში მიმდევრებიც გამოუჩნდა.

1961 წელს კარლ რაპანის თაოსნობით გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ევროპის მოწინავე საკლუბო გუნდებს შორის. ზაფხულში ჩატარებული ამ შეჯიბრების მთავარი მიზანი იყო ეროვნული ჩემპიონატების მატჩებისთვის უკეთ მომზადება.

რაპანს მხარში ამოუდგნენ „ინტერტოტოს" (საერთაშორისო საფეხბურთო (ტოტალიზატორის) პრეზიდენტი ერნესტ ტომენი და „ზაარლანდ-შპორტტოტოს" დირექტორი ჰერმან ნოიბერგერი. ამ ბატონების ენთუზიაზმი გასაგები იყო: სპორტული ტოტალიზატორის ბილეთების გამავრცელებელ ბიუროს დასავლეთის ქვეყნებში მეტად უჭირდა ამხანაგურ მატჩებზე მაღალი ფსონისთვის მიღწია. ოფიციალური ტურნირი კი ხელს შეუწყობდა ამ პრობლემის გადაჭრას. ამასთანავე ტომენსაცა და ნოიბერგერსაც მშვენივრად ესმოდათ, რომ ახალი ტურნირი ვერ გაუწევდა კონკურენციას ისეთ პოპულარულ შეჯიბრებებს, როგორიც იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები. აქედან გამომდინარე „რაპანის თასის" გათამაშებაში მონაწილეობით კლუბების დაინტერესების მიზნით ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებულთათვის დაწესდა ჯილდო — 10 000 შვეიცარიული ფრანკი.

რაც შეეხება ტურნირის ფორმულას, იგი არაერთხელ შეიცვალა. ეს ცვლილებები გამოწვეული იყო სხვადასხვა და თითქმის ყოველთვის ობიექტური, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზეზებით, თუმცა შეჯიბრების პირველი ეტაპის ფორმულა დღემდე უცვლელი დარჩა. მონაწილეთა რაოდენობისა და ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, კლუბები იყოფოდნენ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში 3-5 გუნდი ასპარეზობდა წრიული სისტემით. 1966 წლის ჩათვლით, თითოეული ჯგუფიდან ორი კლუბი გადიოდა მეოთხედფინალში და უკვე ოლიმპიური სისტემით აგრძელებდა ბრძოლას თასისათვის. „რაპანის თასის" პირველი სამი გათამაშების ფინალური შეხვედრები თითო მატჩისაგან შედგებოდა, მომდევნო სამი გათამაშების ფინალში კი მეტოქეები ორჯერ თამაშობდნენ — შინ და სტუმრად.

1961 წელს, პირველი გათამაშების ფინალში გავიდნენ ჰოლანდიის წამყვანი კლუბები: ამსტერდამის „აიაქსი" და როტერდამის „ფეიენოორდი". ამსტერდამში ჩატარებული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 4:2. მომდევნო ფინალური მატჩების შედეგები ასეთი იყო:

1962. „ინტერი" (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „პადოვა" (პადუა, იტალია) 1:0
1963. „ინტერი" (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „პოლონია" (ბიტომი, პოლონეთი) 1:0
1964. „პოლონია" (ბიტომი, პოლონეთი) — „ლოკომოტივი" (ლაიფციგი, გდრ) 0:3, 5:1
1965. „ლოკომოტივი" (ლაიფციგი, გდრ) — „ნორჩიოპინგი" (შვეცია) 0:1, 4:0
1966. „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი, გფრ) — „ინტერი" (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) 3:2, 1:1.

1967 წელს ტურნირის დასკვნითი ეტაპის ჩატარება არ მოხერხდა. გამოვლინდნენ მხოლოდ ჯგუფებში გამარჯვებულნი. აქედან მოყოლებული „რაპანის თასი" შეცვალა „საერთაშორისო საფეხბურთო თასმა", მაგრამ ეს პრიზი ფაქტიურად არ თამაშდება, რადგან ტურნირი ჯგუფებში გამარჯვებულთა დაჯილდოებით მთავრდება.

წლევანდელ ტურნირში 14 ქვეყნის 44 კლუბი მონაწილეობდა, რომლებიც 11 ჯგუფად დაიყვნენ. მათ შორის იყვნენ ისეთი სახელგანთქმული კლუბები, როგორიც არიან ევროპის სამი ძირითადი საკლუბო ტურნირის სხვადასხვა წლების გამარჯვებულები და ფინალისტები: „გიოტებორგი", „მალმიო" (ორივე — შვეცია), „კარლ ცაისი" (გდრ), „ტვენტე" (ჰოლანდია), „გურნიკი" (პოლონეთი), „ვიდეოტონი" (უნგრეთი) და სხვა.

გაგაცნობთ წლევანდელი გათამაშების ჯგუფებში გამარჯვებულებს: I ჯგუფი — ბრემენის „ვერდერი" (გფრ); II — ერფურტის „როტ-ვაისი" (გფრ); III — „გიოტებორგი" (შვეცია); IV — სტოკჰოლმის აიკ-ი (შვეცია); V — აუეს „ვისმუტი" (გდრ); VI — პრაღის „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია); VII — ზაბჟეს „გურნიკი" (პოლონეთი); VIII — ჰაიფის „მაკაბი" (ისრაელი); IX — ოსტრავის „ბანიკი" (ჩეხოსლოვაკია); X — ბუდაპეშტის „დოჟა უიპეშტი" (უნგრეთი); XI — ბუდაპეშტის მტკ (უნგრეთი).

ზურაბ ფოცხვერია.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 22 სექტემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მინდორი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი).** დასაწყისი 12 ს. გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური).** 17 ს.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი

24 სექტემბერი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

„ლოკომოტივი" (თბილისი)— „არაზი" (ნახიჩევანი)

დასაწყისი 19 საათზე.

გათამაშდება ლატარია ორი ავტომანქანა „ჟიგულის" (ვაზ-21063) ურიგოდ შესაძენად.

ბილეთები გაიყიდება 24 სექტემბერს დილის 12 საათიდან.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია:
66185

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უუ 00577